



სსიპ  
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

თბილისი



13/07/2018

16-07-4-201807131824

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 16

**პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში  
„ანაკლიის მომავლის ბანაკის“ შინაგანაწესის  
დამტკიცების თაობაზე**

2017 წლის 20 იანვრის #01/105 ბრძანებით დამტკიცებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული, პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში „ანაკლიის მომავლის ბანაკის“ შინაგანაწესი;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფროსის 2017 წლის 7 ივლისის #02-პ ბრძანება;
3. დაევალოს სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს წინამდებარე ბრძანებისა და შინაგანაწესის უფლებამოსილი სამსახურებისა და დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
4. კონტროლს ბრძანების განხორციელებაზე განვახორციელებ პირადად;
5. წინამდებარე ბრძანება მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ.#52);
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიგა გაბელაია

ცენტრის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'გიგა გაბელაია' (Giga Gabelaya), written in a cursive style.

**ანაკლიის ტერიტორიაზე პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში  
„ანაკლიის მომავლის ბანაკის“  
შინაგანაწესი**

**1. ზოგადი დებულებები**


პროგრამა ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დაბა ანაკლიის (შემდგომში „ანაკლიის მომავლის ბანაკი“), ტერიტორიაზე, ორგანიზატორთა მიერ შემუშავებული აღმზრდელობით-საგანმანათლებლო და უსაფრთხოების სტრატეგიის შესაბამისად. წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესების დაცვა სავალდებულოა პროგრამაში მონაწილე ყველა პირისათვის და ამ წესების დარღვევა ითვალისწინებს ბენეფიციარის, ლიდერის ან სხვა ნებისმიერი პირის დათხოვნას ბანაკიდან. ბანაკიდან დათხოვნა ხორციელდება ბანაკის ხელმძღვანელის წარდგინებით, ცენტრის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე. დათხოვნილი ბენეფიციარის/ბენეფიციარების ტრანსპორტირების ორგანიზება განხორციელდება მშობლების (მეურვის) მიერ.

**2. სპეციალური წესები**

2.1. პროგრამა „მომავლის ბანაკის“ მიმდინარეობის პერიოდში „ანაკლიის მომავლის ბანაკის“ ტერიტორიაზე დაუშვებელია:

- ალკოჰოლის შეტანა და მოხმარება;
- ბანაკის ტერიტორიაზე ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში ყოფნა;
- ცივი იარაღის შეტანა;
- მედიკამენტების შეტანა, გარდა ექიმის დანიშნულებით გათვალისწინებული საშუალებებისა; სპეციალური ფორმის (დანიშნულების ფურცლის) თანხლებით;
- ბანაკის ტერიტორიაზე და ამავე ტერიტორიაზე მდებარე ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში თამბაქოს მოხმარება;
- ბანაკის კვების რაციონით გათვალისწინებული მენიუს გარდა სხვა საკვების მიღება;
- ბენეფიციარებისა და ლიდერების მიერ ბანაკის ტერიტორიის დატოვება, გარდა გადაუდებელი სამედიცინო აუცილებლობისა;
- ბანაკის ტერიტორიის დატოვება ბენეფიციარების მიერ, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წეილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც დამოწმებული იქნება ბანაკის ხელმძღვანელის მიერ;
- ბანაკის ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის დაზიანება/განადგურება;
- უნებართვოდ სანაპირო ზოლზე გასვლა და ზღვაში შესვლა, გარდა პროგრამის დღის წესრიგით განსაზღვრული შემთხვევებისა;
- საცხოვრებელი კოტეჯის დატოვება ღამის 12 საათიდან დილის 8 საათამდე მონაკვეთში, გარდა აუცილებელი საჭიროებებისა (იგულისხმება სამედიცინო დახმარება). ამასთანავე, მკაცრად აკრძალულია ლიდერების მიერ აღნიშნული წესის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მონაწილეთა ოთახების გარედან ჩაკეტვა;

## ბანაკის სტრუქტურა



- **ბანაკის ხელმძღვანელი:**

ბანაკის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ბანაკის უსაფრთხო და სრულფასოვან ფუნქციონირებაზე. განსაზღვრავს ბანაკის ინფრასტრუქტურულ და ტექნიკურ საჭიროებებს და ახორციელებს მიმდინარე პრობლემების აღმოფხვრაზე კონტროლს; აწარმოებს საჭირო კორესპონდენციას; მონიტორინგს უწევს ბანაკში მომუშავე პერსონალის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას; საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან.

- **ტექნიკური კოორდინატორი:**

უზრუნველყოფს ბანაკის ტერიტორიის დასუფთავებას, ბანაკის ინფრასტრუქტურული საკითხების მოწესრიგებას, აუზის დასუფთავების კონტროლს; მონიტორინგს უწევს ტექნიკური პრობლემების დროულად აღმოფხვრას, უზრუნველყოფს ბანაკში გასამართ ღონისძიებებს საჭირო ტექნიკური ინვენტარით; პასუხისმგებელია ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ნორმების დაცვაზე.

- პროგრამული მენეჯერი:**  
 პროგრამული კუთხით მონიტორინგს უწევს კოორდინატორებისა და ლიდერების საქმიანობას; უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების დროულად გამართვას; ზედამხედველობას უწევს ლიდერებს, სპორტულ და მუსიკალურ კოორდინატორებს; აწარმოებს ლიდერების და აიტი-ბლოგერის მონიტორინგს.
- აიტი-ბლოგერი:**  
 უზრუნველყოფს ადმინისტრაციისა და პროგრამული ნაწილისთვის განსაზღვრული ტექნიკის გამართულ მუშაობას; აკონტროლებს ინტერნეტმომსახურების ხარისხს, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების ფოტო და ვიდეო გადაღებას.
- მუსკალური კოორდინატორი:**  
 უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და დღის წესრიგით გათვალისწინებულ აუცილებელ მუსიკალურ გაფორმებას.
- სპორტული კოორდინატორი:**  
 უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ოლიმპიადისა და სპორტული აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
- ლიდერების კოორდინატორი:**  
 უზრუნველყოფს ყოველ ნაკადზე 24 ლიდერის ზედამხედველობას; მონიტორინგს უწევს პროგრამული ნაწილის სრულფასოვან განხორციელებას.
- კვების ექსპერტი:**  
 უზრუნველყოფს და მეთვალყურეობს ბანაკის სასადილო ბლოკის გამართულ მუშაობას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.
- ლიდერები:**  
 ლიდერებს ევალებათ ბენეფიციართა ზედამხედველობა; ბანაკის პროგრამული ნაწილის შესრულების უზრუნველყოფა; მონაწილეებისა და ზოგადი უსაფრთხოების ზომების დაცვა; პრობლემების დროულად აღმოფხვრის მიზნით ხელმძღვანელობის დროული ინფორმირება.

### 3. ბანაკის დღის განრიგი

08:00 – გაღვიძება
08:00-08:25 – პირადი ჰიგიენა
08:25-08:30 – მობილიზება დილის ვარჯიშისთვის
08:30-08:45 – დილის გამამხნეველი ვარჯიში
08:45-09:00 – დილის ხაზი

09:00-09:15 – მობილიზება საუზმისთვის
09:15-10:15 – საუზმე
10:15-10:20 – მობილიზება ზღვის დროისათვის
10:20-11:20 – ზღვის დრო
11:20-11:30 – პირადი ჰიგიენა
11:30-13:00 – ტრენინგი
13:00-13:45 – გუნდის პირველი დრო
13:45-14:00 – გუნდების მობილიზება სადილისთვის
14:00-15:00 – სადილი
15:00-16:00 – წყნარი საათი
16:00-16:05 – გუნდების მობილიზება გუნდის მეორე დროისთვის
16:05-16:45 – გუნდის მეორე დრო
16:45-17:00 – გუნდების მობილიზება სამხარისთვის
17:00-17:30 – სამხარი
17:30-17:35 – გუნდების მობილიზება გუნდის მესამე დროისთვის
17:35-18:35 – გუნდის მესამე დრო
18:35-18:40 – გუნდების მობილიზება აქტივობებისთვის
18:40-19:40 – სხვადასხვა სახის აქტივობა (მათ შორის, სპორტული)
19:40-19:50 – პირადი ჰიგიენა
19:50-20:00 – გუნდების მომზადება ვახშმისთვის
20:00-21:00 – ვახშამი
21:00-21:15 – გუნდების მობილიზება საღამოს ღონისძიებისთვის
21:15-22:45 – საღამოს ღონისძიება
22:45-23:00 – გუნდების მობილიზება რეფლექსიისთვის
23:00-23:15 – რეფლექსია
23:15-23:30 – ძილი

## რეკომენდაციები ბანაკში უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით:

### 1. ზოგადი უსაფრთხოება

- მონაწილეების ჩამოსვლამდე უნდა მოხდეს ბანაკის ტერიტორიის დეტალური შესწავლა, რათა გამოვლინდეს საფრთხის შემცველი ელემენტები (მოფარებული ადგილები, სადაც შესაძლოა მოხდეს კონფლიქტები; სარდაფები, გაშიშვლებული მავთულები ან ელექტრო ჩამრთველები ოთახებში, მორყეული ავეჯი, კიბის მოაჯირების სიმყარე და სხვა);
- ყოველ ახალ ნაკადზე ბენეფიციარები აუცილებლად უნდა გაეცნონ ბანაკის შინაგანაწესს და გაფრთხილებულ იქნენ შინაგანაწესის დარღვევის შესაძლო შედეგების თაობაზე.
- ბანაკში ზოგადი უსაფრთხოების გარანტი არის გამართული და საინტერესო პროგრამა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა არ მუშაობს რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე, მონაწილეები არ არიან დაინტერესებულნი და მოტივირებულნი, აუცილებელია მისი ადაპტირება, სხვა შემთხვევაში ეს გამოიწვევს დისციპლინის და უსაფრთხოების წესების დარღვევას;

### 2. სპორტული და ღია ცის ქვეშ აქტივობების უსაფრთხოების წესები:

- ის ადგილი, სადაც ტარდება ამგვარი აქტივობები, სასურველია დაფარული იყოს ბალახით;
- განსაკუთრებით უხემ ზედაპირზე (ბეტონზე, ქვა-ლორღზე) თამაშების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ აქტიურობასთან, შეიცავს ტრავმების განსაკუთრებით მაღალ რისკს;
- ყველა ამგვარი აქტივობის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს ბანაკის ექიმი, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად მოახდინოს სათანადო რეაგირება;

### 3. სამედიცინო უსაფრთხოება:

- სასურველია, მოხდეს ბენეფიციარებისთვის იმ საკვების დროებით ჩამორთმევა, რომელიც მათ თან ჩამოიტანეს ბანაკში. ხშირად ამგვარი საკვები მოწამლვის მიზეზი ხდება (თუმცა გასათვალისწინებელია განსაკუთრებული საჭიროებები – დიეტა და სხვა). საკვები უნდა განთავსდეს დაცულ ადგილას შესაბამის პირობებში, რათა ბანაკის შემდგომ ხელუხლებელ მდგომარეობაში გადაეცეს მფლობელს;
- აუცილებელია გამოვართვათ ბენეფიციარებს მათ მიერ ბანაკში ჩამოტანილი მედიკამენტები, ერთმანეთისგან განცალკევებით დავაფასოთ, დავაწეროთ სახელები და ბანაკის დასრულებამდე ჩავაბაროთ ბანაკის ექიმს. ხშირად ბავშვები ერთმანეთს ასმევენ წამლებს, რომელთა მიღებაც, შესაძლოა, არ იყოს მიზანშეწონილი (გამონაკლისი უნდა იყოს ქრონიკული დაავადებების მქონდე ბენეფიციარები, რომლებიც მუდმივად მკურნალობენ და თან ატარებენ საჭირო მედიკამენტებს);
- ყველა პირს, გარდა ბანაკის ექიმისა, უნდა აეკრძალოს მედიკამენტის მიცემა ბენეფიციარებისთვის;
- ყველა ლიდერი უნდა იყოს გაფრთხილებული, რომ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანაკის ადმინისტრაციას რომელიმე ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ.

### 4. ფორსმაჟორი:

- ფორსმაჟორად ითვლება ისეთი მოვლენები, როგორცაა: ბუნებრივი მოვლენები, სტიქიები (ხანძარი, წყალდიდობა, ქარბუქი, შტორმი და ა.შ.), ეპიდემია, საომარი მდგომარეობა და ა.შ.

- ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი შემთხვევისათვის ბანაკის ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს ამგვარ გარემოებებში ბანაკის უსაფრთხოების დაცვისა და საჭიროების დროს ევაკუაციის დეტალური გეგმა, სამაშველო სამსახურთან შეთანხმებით და მათი მითითებით (სად შეიძლება გადავიდეს ბანაკი, როგორ, რა სატრანსპორტო საშუალებებით, რომელ სამსახურს უნდა მიმართოს, რა ვადებში არის ამ სამუშაოს შესრულება შესაძლებელი და სხვა). ბანაკის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს ამ ინფორმაციის ბანაკის ადმინისტრაციისთვის, ასევე ლიდერებისთვის გადაცემა და შესრულებაზე კონტროლი.